7

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 2-რე გაზ. ფასი 20 კაპ. ტელეფონი № 76. ხუთშაბათი იანვრის 11—(24) 1918

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ერთი წლით 50 მან. ✖ სამი თვით 13 მ. 50 კ.
ექვსი თვით 27 მან. ✖ ერთი თვით 4 მ. 50 კ.
ცალკე ნუმერი 20 კაპ.
განცხადების ფასი
პირველ გვერდზე სტრიქონი [illegible] . 10 შაური.
უკანასკნელ გვერდზე . . . . 2 აბაზი.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ. 8 მ. 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლში. კანტორა ღიაა დილის 8–2 საათამდის, და საღამოს 5—7 საათამდის. კვირაობით მხოლოთ დილით

№ 5 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 5

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ჩვენი ქვეყანა“-ზე

გაზეთში მუდმივად თანამშრომლებენ:

აბაშიძე გიორგი.
ბარათაშვილი გრიგოლ.
ჯარსევანიშვილი ალექსანდრე.
კვირკელია დავით (გურული დ.)
დიდიძე ირაკლი.
ეკალაძე ია (ცინცაძე იაკობ).
ზღვისპირელი.
თორაძე ალექსანდრე.
კაპანელი კ. (კ. ჭანტურაია).
ლომთაძე კონსტანტინე.
ლორთქიფანიძე ნიკო.
მარგველაშვილი ტიტე.
[illegible]ველე.
მთავრიშვილი თომა.
[illegible] ს.
მაჭავარიანი ლადო.
ნაზაროვი დიმიტრი.
ოცხელი იოსებ.
ოყურეშიძე დ. (დ. თომაშვილი).
ყიფიანი სამსონ.
წერეთელი ვასილ.
ხანანაშვილი იოსებ.
ხუსკივაძე თეოფილე.
ჯაფარიძე ტრიფონ. და სხვა.

ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით 50 მან. ✖ 6 თვით 27 მან. ✖ 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ✖ 1 თვით 4 მან. 50 კაპ. ✖ ცალკე ნუმერი 20 კაპ.

ერთის თვით გაზეთის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ ქუთაისში.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Кутаисъ, контора газ. „Чвени Квекана“, почт. ящ. № 39.

კანტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი.

ტელეფონი № 76.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ყველა კომიტეტებს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის საორგანიზაციო სექცია გთხოვთ დაჩქარებით მიაწოდოთ მას თქვენს რაიონში პარტიული ცხოვრების შესახებ შემდეგი ცნობები:

1. როდის დაარსდა პარტიული კომიტეტი და სია კომიტეტის წევრებისა.
2. რამდენი წევრია ჩაწერილი პარტიაში და თუ რეგისტრაცია არ ხდებოდა ვარაუდათ რამდენი მიაჩნია კომიტეტს შეგნებულად ეროვნულ დემოკრ. პარტიის მომხრედ.
3. რა ბიუჯეტი აქვს კომიტეტს და მომავალი ნავარაუდევი ხარჯთ-აღრიცხვა.
4. ყავს თუ არა კომიტეტს პროპაგანდისტები ადგილობრივ მცხოვრებთაგან და თუ არ ყავს, შეუძლიან თუ არა იყოლიოს?
5. საარჩევნო კომპანიის შედეგები.
6. მთავარი კომიტეტის საორგანიზაციო სექცია გთხოვთ დაუყონებლივ მოაწოდოთ მას ეს ცნობები, რათა მას შეძლება ქონდეს მეორე პარტიულ ყრილობას, რომელიც დანიშნულია იანვრის 14-სათვის, წარუდგინოს სრული ანგარიში პარტიულ ორგანიზაციების შესახებ და აგრეთვე შეიმუშაოს მომავლისათვის სასურველი წესი პარტიულ ორგანიზაციების მოწყობისა.

მთავარ კომიტეტის საორგანიზაციო სექცია.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მეორე ყრილობა

(კონფერენცია)

მთავარ კომიტეტის დადგენილებით მოწვეულ იქნება 1918 წელს, იანვრის 14.

ყრილობის წეს-რიგი.

სატაქტიკო საკითხები:

ა) პოლიტიკური მომენტი. ბ) საქართველოს ჯარი. გ) საქართველოს ეკლესია. დ) საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობა. ე) საქართველოს ეროვნული საბჭო.

საპროგრამო საკითხები: ა) პოლიტიკური საგანი ბ) აგრარული საგანი.

საორგანიზაციო საკითხები: ა) მთავარ კომიტეტის მოხსენება. ბ) პარტიის ორგანიზაციების მდგომარეობა და წესდება. გ) არჩევნები.

კონფერენციის მომწყობი კომისიის დადგენილებით ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელი უნდა აირჩეს ადგილობრივ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზედ ყოველ ას ნამდვილ წევრზე ერთი. სადაც ას წევრზე ნაკლებია, იქაური ორგანიზაცია არჩევნების მოსახდენად მახლობელ ორგანიზაციას უნდა შეუერთდეს. დელეგატებს მანდატებთან ერთად თან უნდა ქონდეთ ადგილობრივ კომიტეტის მიერ დამტკიცებული საარჩევნო ოქმი ამომრჩეველთა სარეგისტრაციო სიით. ეს ცნობები კონფერენციის სამანდატო კომისიას უნდა გარდაეცეს.

საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკ. პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ პარასკევს, იანვრის 12-ს, ქ. ზესტაფონში პარტის ბიუროში გაიმართება ქუთაისის გუბერნიიდან პარტიის მეორე ყრილობაზე დასასწრებლად არჩეულ დელეგატების

წინასწარი თათბირი.

თათბირის საგანი: საორგანიზაციო და სატაქტიკო კითხვები.

დელეგატებს ვთხოვთ, ჩამოვიდნენ 12 იანვარს, ქ. ზესტაფონში დილის მატარებლით. იმავ დღეს, თათბირის შემდეგ, საღამოს, სავარაკო მატარებლით დელეგატები თბილისს გაემგზავრებიან.

რაღას უცდით?

ბოლშევიკების [illegible] და მათმა სასტიკმა იერიშებმა რუსეთის ცენტრი დაამარცხა. სწორეთ ამის შედეგი იყო, რომ სახელმწიფოს ცხოვრების მოძრაობა შუაგულიდან განაპირა მხარეში გადავიდა. ჩვენშიც გაჩნდა მთავრობა, ამიერ-კავკასიის კომისარიატად სახელწოდებული. ცენტრის დასუსტება და განაპირა ქვეყნების გაძლიერება—ახალი ხაზია რევოლუციის მიმდინარეობაში. აი სწორეთ ამის შედეგი იყო ეროვნული კრების მოწვევა ჩვენს დედა ქალაქ თბილისში. ეროვნულმა ყრილობამ ჩვენი ეროვნული მართვა-გამგეობის საქმე დროებით ეროვნულ საბჭოს მიანდო და საბოლოოდ გადაჭრა დიდი საკითხებისა დამფუძნებელ კრებისთვის გადასდვა. რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევა მაშინ კიდევ შესაძლებლათ მიგვაჩნდა, თანაც ველოდით, რომ ეს კრება ადრე შესდგებოდა.

მაგრამ სურათები შეიცვალა. რუსეთის ცენტრალური მთავრობა თანდათან დასუსტდა და თავისი განზრახვა ბოლომდი ვერ მიიყვანა—დამფუძნებელი კრება ვერ მოახდინა. კრების მოწვევა 5 იანვრისთვის გადაიდო, 5 იანვარს კრება, როგორც ამბავი მოგვივიდა, ჩაშლილა. ეს მოსალოდნელიც იყო და აი რატომ: როგორი უნდა ყოფილიყო დამფუძნებელი კრება? დეპუტატთა უმეტესობა ბოლშევიკები არ არიან. მაშასადამე, დამფუძნებელ კრებას პირველივე სიტყვა ბოლშევიკების წინააღმდეგ უნდა ეთქვა და მერე თანდათან საწინააღმდეგო ხაზი უნდა გაევლო თავის მოქმედებაში. ეს კი შეუძლებელი იყო, რადგან ძალა დღესდღეობით ბოლშევიკების ხელშია და მათი მოწინააღმდეგე მიმართულების დამფუძნებელი კრება ჯერ ვერ გაიხარებდა. მეორე მხრით ბოლშევიკების მდგომარეობაც საოცარი შეიქნა. როგორც ვიცით, ლენინის და მისი ამხანაგების უპირველესი ლოზუნგი იყო ომის გათავება. ამ დაპირებამ მისცა ლენინს ნიადაგი და მიამხრო მას ცხრა მეათედი მისი მიმდევარებისა, თორემ თეორეტიული პროგრამა მისი სხვა სოციალისტებისას სრულებიდაც არა სჯობს. ხალხი დღემდი იმედით შესჩერებოდა ლენინს და ომის დასასრულს ელოდა. დღეს კი ომი გაუთავებელია, და კრილენკო საერთო მობილიზაციას აცხადებს. აი საქმის არევ დარევა და ყველაფერის პირქვე დამხობა მართლა ეს არის. ფრონტი დაშლილია, ახლაც ფრონტის შექმნა სასწაულთ მომქმედსაც აღარ შეუძლია და ზავი კი არსად სჩანს.

რას ფიქრობს ან ლენინი ან კრილენკო? რით აიმედებენ ისინი დღეს რუსეთის ხალხს, ან ერთი ან მეორე? მტერს არცერთის არ ეშინია და ისევ ერთმანეთს თუ დაუშინენ, თორემ სხვისკენ წასასვლელი პირი არცერთს არა აქვს. აი სწორეთ მათ შორის შეტაკება და სისხლის ღვრა იყო მოსალოდნელი და ასეთ დროს 5 იანვარს დამფუძნებელი კრება გახსნეს? განა ასეთ პირობებში რამე გაკეთდება?, განა ასეთ დროს რამე დაფუძნდება?

როგორ ვიქცევით ჩვენ —ქართველები? გავითვალისწინეთ ეს მომენტი და ვუწევთ ანგარიშს ყოველ დღიურ ცვლილებას? სრულებითაც არა.

საქართველოს დამფუძნებელ კრებას არ ვიწვევთ, ვიღაცას ვუცდით, რაღაცას ველით; თუმცა იმის მეტი რაღა უნდა მოხდეს, რაც მოხდა! ვინ უნდა გვირჩიოს, ან ვინ უნდა გვიბრძანოს, აღარ ვიცი; თუ ვისმე ვერიდებით, რაღას ვერიდებით? ამიერ-კავკასიის მთავრობა გავაჩინეთ, მინისტრები და[illegible]ენ, ხაზინას მართავენ, დეკრეტებს სცემენ სათათრეთიც საზავო წინადადებას იძლევა და მეტი რაღა იქნება? დროც არის და საჭიროებაც საჩქაროთ საქართველოს დამფუძნებელი კრება იქნეს მოწვეული თბილისში, მით უმეტეს, რომ ისეთი დეკრეტების გამოცემა, როგორიც ამ დღეებში მოვისმინეთ, თუ დამფუძნებელმა კრებამ არ დაადასტურა, საქმეს აგვირევს. ნაჩქარევი დეკრეტი ცხოვრებაში არ გაივლის. ახირებული დეკრეტი მთავრობას სახელს გაუტეხს და ხალხში ნიადაგს ვერ ნახავს.

ისეთი დეკრეტები, რომელსაც მიზნათ ჩვენი ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნა აქვს დასახული საქართველოს დამფუძნებელ კრების სახელით უნდა იქნეს გამოცემული ან მისგან არჩეულ მთავრობისგან და არა ამიერ კავკასიის კომისარიატისაგან. საქართველოს დამფუძნებელ კრების დასტური დეკრეტს მეტ ძალასაც მისცემს და მეტ ნდობასაც მოუპოვებს.

ორში ერთი უნდა ინებოს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა: ან საჩქაროთ მოიწვიოს საქართველოს დამფუძნებელი კრება ან შეაჩეროს ისეთი დეკრეტების გამოცემა, რომლებითაც ჩვენი ცხოვრებაში ძირითადი ცვლილება აქვს განზრახული.

დღევანდელი გარემოება კი ცხადათ გვიკარნახებს მალე შეიკრიბოს საქართველოს დამფუძნებელი კრება. რამდენათაც ამას ამიერ კავკასიის კომისარიატი დააჩქარებს, იმდენათ უფრო მალე იხსნის თავს განსაცდელისაგან, რომელიც იმასაც მოელის ნაჩქარევი დეკრეტებიდან და ულაშქრო მდგომარეობიდან.

ტრიფონ ჯაფარიძე.

ზავი და საქართველო.

სამშვიდობო მოლაპარაკებაში რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელმა ყველა ერმა თავისი განსაკუთრებული პოზიცია დაიკავა და მომენტის შესაფერისათ თავისი მრწამსი სთქვა,

უკრაინა საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს ცენტრალ სახელმწიფოებთან და საჩქაროთ ზავის შეკვრისთვის ისწრაფვის.

სოც. დ—მა ვინიჩენკომ სთქვა: ზავის კითხვა არა მპყრობელ ერებისთვის ერთი უპირველესი კითხვათაგანია. ვინ უწყის, რამდენი უსწორ მასწორობა თან დაჰყვეს აწინდელ ზავს, ვინ იცის დიპლომატები ვის განუზომძებენ ამა თუ იმ ერის თავისუფლებას? ამიტომ აუცილებელია, ყოველმა ერმა თვითონ დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესი და არ შეიქნეს მსხვერპლი ამა ქვეყნის უკუღმართობისა.

უკრაინის ერმა დროზე განსჭვრიტა ყოველგვარი სახიფათო მოსალოდნელობა. მან ადრევე გადაიწყვიტა იმედი რუსეთის დამფუძნებელ კრებისა და ჯერ ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მსჯელობა არც კი დაწყებულიყო, რომ უკრაინის წარმომადგენლები ავსტრიის აგენტებს ელაპარაკებოდენ.

ასე იქცევა უკრაინა. მან მიიმხრო შავი ზღვის ფლოტი, გაიჩინა საკმაოდ ძლიერი ფინანსიური სახსარი, და, გარემოებამ რომ მოითხოვოს, ბრძოლის ველზე ერთი მილიონი ჯარის გამოყვანა შეუძლია.

ასე მოქმედებს უკრაინა, რომელიც ცეცხლით და მახვილით იყო რუსეთის ტახტის მიერ დაპყრობილი.

საქართველო? საკვირველია ჩვენი ყოფა! ცეცხლ წაკიდებული რუსეთი დაიწვა, განაპირა ქვეყნებში კარგა ხანია აღარ ბრუნავენ მისი ჰაზრაკები.

მაგრამ ჩვენ იმდენათ გულუბრყვილონი

გავხდით, რომ მაინც მოწიწებით შევსცქეროთ ცენტრის თაოსნობას. ორი მუჭა ვართ, ერთი ძლიერათ წამოგვიქროლონ მიწაზე დაგვანარცხებენ... ასეთ გარემოებაში მიგვეტოვება ცხრა მთას იქით ჩვენი ბედის ძიება, ხოლო მეზობლებთან ურთიერთობის მოუგვარებლად დატოვება?

ეს მეტად სახიფათო პოლიტიკაა, რომელიც დაღუპავს მთელ საქართველოს.

ასეთ პოლიტიკას რუსეთის დამფუძნებელ კრების მეორეთ გარეკვის შემდეგ ბოლო უნდა მოეღოს. საქართველომ უნდა დაიწყოს დამოუკიდებელი მოქმედება. პირველ ყოვლისა ჩვენი დამოუკიდებელი მოქმედება უნდა გამოიხატოს ზავის კითხვაში. ჩვენ, რომ დღემდის ჩვენი თავი დამოუკიდებლათ გამოგვეცხადებია, 1738 წლის ტრაქტატი აღგვედგინა, დღეს უცხო სახელმწიფოთაგან დამოუკიდებელ ერათ ვიქნებოდით აღიარებული, ისე როგორც ფინეთი, და ცხადია, ეს გაგვიადვილებდა ზავის შეკვრასაც.

შეცდომაზე ლაპარაკის დრო არ არის. ოტომანთა იმპერია თანახმა არის დღესაც შეკრას კავკასიასთან სეპარატიული ზავი. ქართველი ხალხის ინტერესის მიხედვით ჩვენ არ გვაქვს უფლება ოსმალთა წინადადება უარვყოთ. ან ვისღა უნდა ველოდეთ? ვინ უნდა განაგრძოს ომი კავკასიის ასპარეზზე? რუსის ჯარი ხომ გაიქცა? ქართველებს ომი არც შეგვიძლია და საომარიც არაფერი გვაქვს. ამიტომ, ვიდრე გვიან არ არის, ეროვნულმა საბჭომ საჩქაროთ უნდა დაიწყოს საზავო სამზადისი. დახანება ყოვლად შეუძლებელია, რადგან მოსალოდნელია პირობების შეცვლა, და მაშინ ვინ უწყის, ვის განუზომძებენ დიპლომატები ამა თუ იმ ერის თავისუფლებას

ი. **იმერელი.**

დისციპლინა ჯარში.

რა არის დისციპლინა? ეს არის რიგიანობა, სხვა სიტყვით რომ განვმარტოთ წყობრიობა, თავდარიგობა ე. ი. სუყველაფერი ის, რაც რაიმე საქმეს მოაწყობს კეთილად და არ დაანგრევს. დისციპლინა განა მარტო ჯარში უნდა იყოს? რა დარგშიც უნდა ჩავიხედოთ, ყველგან დისციპლინაა საჭირო. არაფრის მოწყობა არ შეიძლება უამისოთ. ავიღოთ მაგალითად ოჯახი, წარმოუდგენელია იმისთანა ოჯახის ბედნიერება, სადაც დედ-მამას არა აქვთ თანხმობა და ან ურიგო ცხოვრების კვალს ადგიან, თუ რომ ოჯახის ბურჯებს დისციპლინა პრინციპათ არა აქვთ, იქ შვილებიც თავ-აშვებულნი არიან და ამათი წრთვნა აღზრდა შეუძლებელი ხდება. დედ-მამისა შვილს არ ესმის. ამ შემთხვევაში, რაც უნდა ღონის ძიება იხმაროს დედ-მამამ, ერთხელავე აღვირ-ახდილ შვილს ვერაფერს ჩააგონებს და უკანასკნელი იარაღი—აშვებული დადის, სულ სხვაა ისეთი ოჯახი, სადაც სასტიკათ არის დაცული დისციპლინა. სადაც დედ-მამაც შეთანხმებულად ცხოვრობს შვილებიც ამ სათნოების მაგალითით არიან გაჟღენთილნი; ასეთი ოჯახი შექმნის თავის შვილსა და მომავალს, როგორც თავისთვის, ისე სამშობლოსთვის გამოსადეგს. უდისციპლინო ოჯახიდგან გამოსული შვილი ძალიან ხშირად ჩახვდება ქუჩაში, მაგრამ გვიან როდესაც ცხოვრება მას თავის ბეჭედს დააკრავს დარწმუნდება, რომ მას დამახინჯებული ჰქონდა აღზრდა და მაშასადამე ხასიათიც.

ავიღოთ მაგალითად ვაჭარი და ნოქრები, ანუ ხელოსანი და შაგირდები; თუ იქ დისციპლინა არ უდევს საფუძვლად საქმეს, იქ საქმის მოწესრიგება შეუძლებელია. თუ უმცროსს უფროსის არ ესმის, მთლათ მოიშლება და დაიღუპება ყოველი მათი საქმე.

ავიღოთ სასწავლებელი. სადაც მასწავლებელნი აღჭურვილნი არიან დისციპლინის პრინციპებით, იქ მოწაფეებიც რიგიანათ აღზრდილნი გამოდიან. მოწაფეებმა რომ მასწავლებელს შენიშნოს დისციპლინის შესუსტება, თითონ გაკადნიერდებიან შესაძლებელია ამ გარემოებამ ხელი შეუწყოს მოწაფის არა სასურველ გზისკენ გადახვევას, და ერთხელავე კეთილ გზის აშორება ხშირად დიდ უბედურებამდი მიიყვანს იმასაც და მის მშობლებსაც, ნამეტნავათ, თუ უკანასკნელთ დისციპლინის ნიადაგი შესუსტებული აქვთ.

ავიღოთ სოფლის მეურნე: როდესაც იმას გათვალისწინებული აქვს ყოველი თავის მოქმედება და ზამთარშივე შეეცდება მოამზადოს სამუშაო იარაღები, თესლები, მიწის სასუქი და სხვა აუცილებელი საგნები, მაშინ მას შეუძლია, მოაწევს თუ არა გაზაფხულის სუნი, მაშინვე ხვნა-თესვას მიადგეს. და თუ ადრიანად არ შეემზადა, რომ გაზაფხულდება და გვალვები დადგება, ის კი იარაღს დაუწყებს ძებნას მერმე უცდის, წვიმამ მიწა გაალბოს, მოხნას და საჩქაროთ მიათესოს. ნაგვიანები მცენარე ზაფხულის ალმურს ვერ უძლებს და ან ხმება და ან ისე დაგვიანდება იმის მოწევა, რომ შემოდგომაც მოუსწრებს და ნაჭირნახულები ან სულ უმტყუნებს და ან ხარჯსაც ვერ აუყენებს. ამას ჰქვიან უდისციპლინობა მეურნეობაში ე. ი. ურიგიანობა.

რა საზოგადოების დარგში და დაწესებულებაში უნდა გადავხედოთ თუ დისციპლინა ანუ წეს-რიგი არ არის დამყარებული, იქ ვერაფერ მიზანს ვერ მიაღწევს საზოგადოება.

ავიღოთ მაგალითად ყაჩაღების რაზმი. თუმცა იქ საზოგადოებას არა სასურველი მიზნები აქვთ გათვალისწინებული, მაგრამ იმ წრის მიზნები ვერ შესრულდებიან, თუ ყაჩაღებს უფროსის ანუ ატამანის სიტყვა არ სწამთ. გამოჩენილი ადამიანის რაზმები როგორც ქეირიბის და სხვა, შით იყვნენ საშიში და თავზარ დამცემი მცხოვრებისადმი, რომ სასტიკათ ჰქონდათ დაცული თავისებური დისციპლინა. ატამანის ბრძანება არ შეეძლია არ შეასრულოს უმცროსმა ყაჩაღმა. მხოლოდ ერთი სიტყვაა საჭირო ატამანისაგან, რომ სიცოცხლეს გამოასალმოს თავისივე ამხანაგებმა ურჩი ყაჩაღი. ამასთანავე იმათ წრეში თავგანწირულობა და თავდადება ამხანაგისათვის, აგრეთვე ნათქვამის ასრულება, უმაღლეს წერტილამდის არის ასული. აი სწორეთ იმათ ამნაირ შეთანხმებულ მოქმედებას შეგვიძლია დავათქვათ დისციპლინა უამისოთ ყაჩაღები დაიქსაქსებიან და თავიანთ მიზანს ვერ მიაღწევენ მაშასადამე შიშსაც ვერ მოგვრიან ვერავის.

ყველა ამ სურათებმა უნდა დაარწმუნოს მკითხველი, რომ დისციპლინა აუცილებელი საჭირო არის.

სანამ ჯარის დისციპლინაზე გადავიდე განვიხილოთ, როგორ უყურებს ზოგიერთი თანამედროვე ჯარის კაცი „დისციპლინას“? ის ამ სიტყვას ან მის ცხოვრებაში გატარებას ჯარში ძველ რეჟიმს უწოდებს, მაგრამ ეს ძალიან შემცდარი აზრი იქნება: ურიგოთ და უდისციპლინოთ არსად არ ვვარგვართ. ყველა დარწმუნებულია, ამ დისციპლინის დაცემამ მთელი რუსეთის, მანამდი მძლავრი არმია, დაამხო თავდალმა და ამის მიზეზით საფრთხეში ჩავარდა, როგორც რევოლუცია, ისე სახელმწიფო შიგნითა და გარეთა მტრებისაგან.

მას იქეთ, რაც პატარა ერები თვითგამორკვევის გზას დაადგნენ და თავდასაცავათ თავის ეროვნული პიროვნების და თავის მიწა-წყლის შენარჩუნებისთვის დააარსეს ეროვნული ჯარები, სხვათაშორის ქართველი ეროვნული ჯარი გვყავს, მაგრამ ჯერ ეს ჯარი თითქმის უბრალო გროვას უფრო მიაგავს, ვიდრე ჯარს, და სანამ ჩვენ ჯარში არ იქნება აღდგენილი ის რიგიანობა, რომელსაც დისდისციპლინა ჰქვიან შეუძლებელია, რომ ჩვენი ჯარი ან შესდგეს ან ეღიროს რამეთ და, თუ დავიცავთ რიგიანობას, მაღლა ავწევთ დაცემულ დისციპლინას—ჩვენი ჯარი წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელიც ძალ-ღონეს მისცემს ქართველ ერს, ხმა მაღლა შეუძახოს ყველას, ვინც მოისურვებს აქამდი დაჩაგრულ ქართველ ერის თავმოყვარეობის შელახვას. უამისოთ ე. ი. უდისციპლინოთ ჯარი უვარგისია, მაშასადამე ქართველი ხალხიც უხმო და ჩამორჩენილი იქნება და არავინ ანგარიშს არ გაუწევს არამც თუ გარეშე მტერი, შინაგანი მტერ-მოყვარეებიც მოინდომებენ დაბალ ღობის გადათელვას.

არ შემიძლია არ მოვიხსენიო დისციპლინის აღდგენასთან, ოფიცერი და მისი ავტორიტეტი ჯარში. ვინ არის „ოფიცერი“? ოფიცერი არის უფროსი ჯარის კაცი, აღჭურვილი ცოდნით, განვითარებით, აღზრდით და გამოცდილებით, რომლებიც მაღლა უნდა იდგნენ უმცროს ჯარის კაცებზე და მაგალითს უნდა აჩვენებდნენ, როგორც ზნეობრივათ ისე ჯარის კაცის მომზადებაში, ეგრეთვე უწინამძღვრებდნენ ომშიც, თუ საჭიროება მოითხოვს. სამსახურის დროს უნდა იყოს დაცული მათ შორის უმცროს-უფროსობის დამოკიდებულება და სამსახურის გარეთ კი ისინი უნდა იყვნენ თანასწორი მოქალაქენი ძმა და ამხანაგობის განწყობილებით. მხოლოდ სალამის მიცემა სავალდებულო უნდა იყოს, როგორც ოფიცრებში, ისე ჯარის კაცებში ურთიერთშორის. არა თუ შიშისთვის, როგორც უწინ იყო, მხოლოდ პატივისცემისთვის. ეს იქნება მხოლოდ სალამი და ღმერთმა ნუ დაუკარგოს ქართველ ერს სალამი, და თავაზიანობა რაიც მის ღირსებას შეადგენდა ძველად და ვისურვოთ აწიც გვქონეს.

მე აქ ვამბობ იმისთანა ოფიცრებზე, რომლებსაც ღირსეულად უჭირავთ თავი. უღირსეულო ოფიცერს არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჯარში, რომ მისი ცუდი მაგალითი არ მოქმედებდეს უმცროს ჯარის კაცებზე და არ აფერხებდეს დისციპლინას. ეს უკანასკნელნი ჰპადებენ ჯარის კაცებში სიძულვილს დაუნდობლობას და ცუდ განწყობილებასა რაიც სახელს უხდის კეთილ მიმართულების და სასურველ ამხანაგ ოფიცერს.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ჯარში შევა ის წესრიგი და დისციპლინა, რომელიც აამაღლებს ჩვენ ჯარს სულით, გახდება იგი ჩვენ სიამაყეთ და წაიყვანს ქართველ ერს კეთილ დღეობისაკენ.

ივანე ქავთარაძე.

სოფლად.

ჩვენი სოფელი უკვე ის აღარაა, რაც იყო, თუმცა კიდევ არც ისაა, რაც უნდა იყოს.

ყოველ შემთხვევაში სოფელი შეინძრა, სოფლის კაცმაც დაილაპარაკა, თუმცა თავისი უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ უთქვამს. სოფლის კაცის ამ დალაპარაკებას ყოველი ბრწყინვალენი და მათთან ერთად ღმერთსავით უდროოთ „გაბრწყინვებულნი“, ბრწყინვალე დარბაზების ასულნი და ვაჟნი, დედანი და მამანი ზრდილობის დაცემათ თვლიან და გულის ტკივილით ერთმანეთს შესჩივიან: „ბიჭა, ზრდილობა და ნამუსი აღარაა, ე სოფლის ბანჯგვლიანი ყაძახი ისე შემოგიბრუნებს სიტყვას, თითქო მისი ტოლი იყო!“ - და თავიანთ გულის წყრომას ტუჩების აფშრეკვით გამოსთქვამენ. ჩვენ ეს გარემოება, რასაკვირველია, არ გვაწუხებს და ფავის თავად არც სამწუხაროა. სამწუხარო კი ის იყო, რომ ძველი პოლიციის მიერ დაყენებული ცნობილი სარდიონა ლომიძე სოფლელებს ამათრახებდა და ქუთათური ბანოვანნი, ან კიდევ დღეს ზოგიერთი „გააფხანიკებული“ მოქალაქეები“ ამ სურათს ღრეჯით შეჰყურებდენ!..

ზრდილობა და ნამუსი ადამიანისათვის დიდი სამკაული, სოფელს არ დაუკარგავს და თუ დაჰკარგავს, ეს სწორეთ მართალი სენი იქნება, რომელიც ყოველთვის და მით უმეტეს დღეს ქალაქიდან ეფინება სოფელსაც.

* * *

თითო-ოროლა ყია-მყრალა ქალაქშიაც მოიძებნება და დოვლათი არც სოფელს აკლია.

მაგალითად:

— ბიჭო, როგორ ჰყიდი ე მაგ შეშას? - ეკითხება ქუთათური ყია-მყრალა ჭადარა მორეულ მოხუცს, რომელსაც, სიცივისაგან ხელები დაკრუნჩხვია და იორთქლავს

— ხუთ თუმნათ, ბატონო.

— ააა! გაფუჭდით! გაგიწყრათ ღმერთი! დაკარგეთ ნამუსი! დაგვეცათ ოჯახი! ერთი ტვირთი შეშა ხუთ თუმნათ!!..

— რა ვქნათ, ბატონო, ჩვენც ყველაფერს ძვირათ ვყიდულობთ.

— როგორ თუ ბატონოო! — ღრიალით შესძახის მას „გააფხანკიებული“ „მოქალაქე“ ვერ გაიგე, რომ ჩვენ ბატონი აღარა გვყავს! არ გაბედო ამიერიდან მაგ სიტყვის თქმა, შე ხულიგანო, რიაქციონერო!..

გლეხი გაშტერებული დგას და რას ეუბნებიან, ან რა ამბავია მის თავზე, რასაკვირველია, არ იცის...

ახლა მოუსმინეთ სოფლის ყია-მყრალსაც ქვიტირელ ან ფარცხანაყანეველ გლეხს ყველი შემოეტანოს ოჯახის დედა ევაჭრება:

— როგორაა ყველი, ჩემო ძმაო!

— ძალიან კარქა, არაფერი არ ტკივა.

— როგორ ჰყიდი მეთქი?

— რვა მანეთად.

— ოყას?

— მე ოყა არ ვიცი, ჩარექი რვა მანეთად!

ქალი პირგაბრუნებული სხვას ევაჭრება.

— იფუ! გადიდრაჯებულა! ისე იტყლარჩება, ვითამ ბუზიც არ მიჰკარებოდეს...

ჰო და—ასეთი ყია-მყრალი ყველგან მრავლათ მოიძებნებიან, სამწუხაროა, მათი გასწორება დროისა და განათლების საქმეა.

* * *

დრო და განათლება რასაკვირველია ბევრს რასმე გაასწორებს მაგრამ პავლეს მოსვლამდი რომ პეტრეს ტყავი არ გაძრონ, მოვლა და პატრონობა ახლავე საჭიროა, დღეს კი პირაღებით ითქმის, რომ სოფელი ყოვლად უპატრონოთაა მიგდებული, თავის ამარა და, ბარაქალა რომ კიდევ ასე თუ ისე თავის თავს ინახავს და უძლვის. მტაცებლობამ უკვე იჩინა თავი, მხეცმა გაიღვიძა და არავინ იცის, ხვალინდელი დღე ვის რას ეტყვის ინტელიგენციას და ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული არსის ცნობილი პროპაგანდის წყალობით სოფლათ სახელი გატეხილი აქვს და კიდევ კარგი, რომ ასეთ პირობებში სოფელმა დღემდი, თავი შეინახა ვამბობ დღემდი, რადგანაც მომავალი საშინელი ბურუსითა მოცული.

სოფლათ დღეს უდიდესი საქმეა თვით დაცვის მოწყობა. ეს საქმეც ჩინებულათ მოეწყობოდა, მაგრამ დღევანდელ მთავრობას თავის წრის გარეშე ყველა კეთროვანი ჰგონია და საქმეც ამით ზიანდება.

* * *

აბა ზიანის მეტი რა შეიძლება გამოვიდეს ისეთი მოღვაწეებისაგან, რომ ქვეყანას ბევრს რასმე დაპირდე, ოღონდ მხარი დამიჭირეო, და ვერაფერი კი ვერ მისცე! და სადაც არ აძლევენ, ან ვერ აძლევენ, იმიტომ რომ მისაცემიც არაფერია, ზოგიერთები თითონ ძალ-მომრეობით აპირობენ დაპირებულის ხელში ჩაგდებას იქვე მეზობლის ანგარიშზე და, აი, აქ ისახება ანარქიის საზარელი სურათი.

სოფ. ქ—ში ახალწლის დღეს, ნაწირავებს კინაღამ ერთი ამბავი დატრიალდა „სახნავ სათესი მაკლია და შენს ადგილში უნდა ჩავიდე სამუშაოთო“, —უთხრა ერთმა გლეხმა მეორეს.

„რომ ჩახვალ, ტყვიას მიიღებო, იყო პასუხი —აბა რა ვქნა, მე მიწა მინდაო!— შეჰყვირა პირველმა. —ვინც მიწას დაგპირდა, იმას მიმართე, ალბათ ექნება და მოგცემს, მე კი ჩემს ოფლით შეძენილს ცოცხალი თავით არავის დავანებებო,— შეიქნა მიწევ-მოწევა და კიდევ კარგი, რომ ჩაერიენ და ნაკვერცხალი დროით ჩააქრეს. შემდეგ ამ საქმისა არა ვიცი-რა, მხოლოდ ეს კი კარგათ ვიცი, თუ როგორის მოწიწებითა და კრძალვით ჩასდეს ამ გლეხებმა კონვერტში № 1 და „მუშათა პარტიის“ სახელით ლოცვა-კურთხევით ჩაუშვეს საარჩევნო ყუთში, თითქო საიდუმლო რამ მღვდელ-მოქმედებას ასრულებენო. ამათ რაც ჩასძახეს, რასაკვირველია, იგივე ამოიძახეს, დაარსებულის ასრულება კი...

* * *

ცხადია თამასუქის გაცემა უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე მისი განაღდება, და ამ განაღდების მოლოდინში ბევრს სიხარულისა და სიამის ჟრუანტელი უვლის; ბევრი კიდევ სხვა თვალით უცქერის ამ საქმეს და „აბა ვნახოთო“ გულში ამბობს. მაგრამ ამ დღეებში, რომ ჩვენმა სოფლებმა შიში ნახეს და საგონებელს მიეცნენ, ეს კი ვერავის ვერ დააყენებს კარგ გუნებაზე. სხვილ ფეხი საქონლის გატაცებას, გზაში დახვედრას და ცარცვას ზედ დაედო თოფ-იარაღში ჩასმული სოფლათ გამოსეირნება. შობა-ახალწელს სოფელს ვინტოვკების გრიალი აყრუებდა- აუარებელი ტყვია-წამალი, ვინ იცის როგორ და რა ფასათ ღირებული, ხალხის ნაწვავ-ნადაგი ფულით შეძენილი და შავი დღისთვის შესანახავი საშინელის დაუზოგველობით და უაზროთ იხარჯებოდა და ალბათ კიდევ ბევრი დაიხარჯება. სოფ. მოწამეთაში შობა დღეს ერთმა პირმა 100-ზე მეტი ტყვია გაისროლა და იქვე სათემოზე მოთამაშე ბავშს ცალი ფეხი ტყვიით მოამსხვრია! ვინ არის პატრონი?!. ომში გაწვეულთა შინ დაბრუნებას ყველა აღტაცებით მოელოდა, სოფელი გამოცოცხლდება, ოჯახს მუშა ხელი დაუბრუნდება და ქვეყანა დოვლათით აივსებაო, ფიქრობდენ. ბევრი ოჯახი, გულდათუთქული დარჩება სამუდამოთ, რომ ომში წასული შინ ველარ დაუბრუნდება... მაგრამ ვინც დაბრუნდა, ბევრი მათგანი ლენინ-მახარაძის ემბაზში ნათლულია და თუ როგორ სენს გააჩენენ ისინი სოფლად, ამაზე მთავრობის პარტიამ აგოს

პასუხი, როცა ის თავის თავის გარეშე ველარავის ხედავს საქართველოში!

მდაბიო მოქალაქე.

დამფუძნებელი კრების გარეკვა.

გაზ. „საქართველოს [illegible]“ მოწინავე წერილში ამბობს:

რუსეთი, რომელიც აქამდე უფსკრულის პირზე იდგა, უკვე ამ უფსკრულშია ჩავდებული და რუსის ხალხს აღარა აქვს არამც თუ დამფუძნებელი კრება, არამედ თვით პოლიტიკური იდეალი, რომლისკენაც ის მიისწრაფოდა. დადგა ჭეშმარიტი და ნამდვილი ანარქია, გამეფდა სრული თავნებობა პოლიტიკურ ავანტიურობისა, რომელიც დაღუპავს არა მარტო რუსეთს, არამედ ყველა იმ ერებსაც, რომელთა დემოკრატიის ბედი გადაბმული იყო აქამდე რუსეთის დემოკრატიის ბედთან.

ამიტომ, ასეთ პირობებში და ასეთ განსაცდელის დროს, ქართველი ხალხის წინაშე დგება მეტად რთული და საბედისწერო კითხვა: რა უნდა ქმნას ქართველმა ხალხმა, როდესაც რუსეთი ანარქიის ცეცხლშია გახვეული, როდესაც ჩაქრა უკანასკნელი ლამპარი სინათლისა და როდესაც ყველაფერი სიბნელემ მოიცვა? ვინ შეჰკრავს მეომარ სახელმწიფოებთან ზავს, როდესაც ამისთვის მოწოდებული დამფუძნებელი კრება გარეკილია და ვინ გამოიყვანს რუსეთს არა თუ დიდ სოციალურ და პოლიტიკურ რეფორმების გზაზე—ამაზე ეხლა ოცნებაც მეტია—არამედ, ვინ გამოიყვანს მას, იმ უპატრონობის გზიდან, რომელზედაც ის შესდგა. ამის პასუხი ჩვენ არა გვაქვს. ჩვენ უარს ვამბობთ გავიგოთ რუსეთის ბედი, რუსეთის ახლო მომავლის ბედი, რადგან მისი აწმყო სპობს ყოველსავე უნარს პერსპექტივისას. დეე მთელი სირცხვილი პასუხის მგებლობისა მათ კისერზე იყოს ვინც შეგნებულად ღუპავდა მას.

მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ სრულ პასუხისმგებლობას იმისას, რომ შეუძლებელია ასევე შეგნებულად იღუპებოდეს ქართველი ხალხის ბედი და ქართველი ხალხი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს თავის ბედის გამოყოფას იმ ცეცხლწაკიდებულ ბედისგან, რომელსაც დღეს „რუსეთის ბედ-სწერა“ ეწოდება. ჩვენ უფლება არა გვაქვს, ჩვენ არ შეგვიძლიან თუნდ ერთის წუთით დავსტოვოთ ამ ცეცხლში ის, რაც ყველა ჩვენთვის ძვირფასია და რასაც საქართველოს მოსავალი ჰქვიან.

საქართველოს დამფუძნებელი კრება აი ერთად-ერთი ლოზუნგი, რომელიც უნდა აღმოცენდეს იმ ფერფლზე, იმ ნაცრზე, რომელსაც ეწოდებოდა „რუსეთის დამფუძნებელი კრება“. ჩვენ არ შეგვიძლიან თუნდ ერთი წუთი მაინც მეტი გავატაროთ იმ მიცვალებულის საფლავზე, რომელსაც ჩვენ მუდამ უცლიდით ვიდრე ის მოკვდებოდა და რომელზედაც გულწრფელად ვღვარეთ ცრემლები, როცა მოკვდა. საქართველომ შეასრულა თავისი ვალი არა მარტო რუსეთის რევოლუციის მოკავშირისა, არამედ მის ავანგარდისაც და საკუთარი ბედი არა ნაკლებ ძვირფასი უნდა იყოს მისთვის.

რუსეთის უბედურების ამ სასტიკ წუთებში ჩვენ ვიგონებთ ნათელ წუთს საქართველოს ცხოვრებაში—მის ეროვნულ ყრილობას, რომელმაც ნოე ჟორდანიას სიტყვით რომ ვსთქვათ, ქართველ ხალხს საკუთარი ხარტია უბოძა. ქართველი ხალხი და ეს ხარტია გვავალებს შევუდგეთ საკუთარ ბედის მოწყობას. რევოლუციის გულისთვის, საქართველოს გულისთვის გაუმარჯოს ქართულ დამფუძნებელ კრებას!

„სახალხო საქმე“:

ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ და რაც შეიძლება მალე გავამაგროთ ერები, კერძოდ საქართველო ეროვნულ-პოლიტიკურ-ავტონომიის მოპოებით. საქართველოს დამფუძნებელი კრება, აი, რა უნდა იყოს ჩვენი ლოზუნგი. საქართველოს ავტონომია და მისი ფედერატიული კავშირი და სოლიდარობა გარშემორტყმულ ერებთან. ამნაირის გზით ჩვენ შევსძლებთ რევოლუციის მონაპოვარის შენარჩუნება, საკუთარ ფიზიკურ არსებობის დაცვას და მომავალში ისეთი როლის თამაშ,

რაიც შეეფერება ჩვენს ეროვნულსა და რევოლუციონურს მიზნებს.

* *

ოსმალეთთან კერძო ზავის ჩამოგდების საკითხი.

გაზ. „ვოზროჟდენიე“ს მე-№ 5-ში ალექსანდროვი არკვევს, თუ რა ბედი ეწია ოსმალეთის წინადადებას ამიერ-კავკასიასთან ზავის ჩამოგდების შესახებ.

„ოსმალეთის მთავარსარდლის წინადადებამ ჩვენს საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენშიც აღმოჩნდა ხალხი, რომელიც ზავის ჩამოგდების წინააღმდეგია და ამ კითხვის გადაწყვეტას დამფუძნებელ კრებაზე მოითხოვს.

კარგად იციან ამ ვაჟბატონებმა, რომ თვით დამფუძნებელ კრების ბედი ბეწვზე ჰკიდია, და თუ მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც მოითხოვენ, რომ ეგზომ სასწრაფო კითხვა, როგორც ზავის ჩამოგდებაა დამფუძნებელ კრებაზე იქმნეს გადატანილი, ეს ზავის წინააღმდეგ ამხედრებას ნიშნავს, და მხოლოდ იმიტომ ებღაუჭებიან დამფუძნებელ კრებას, რომ ამით თავისი ნამდვილი განზრახვა დაჰფარონ.

საოლქო ცენტრის სხდომაზე ნოე რამიშვილმა აღნიშნა მდგომარეობის სიძნელე და განაცხადა: ზავის უკუგდება არ შეიძლება და, რადგან ცენტრს მოწყვეტილი ვართ, საჭიროა ზავის ჩამოგდება უკრაინასთან, მთიულებთან, ყაზახებთან და სხვა მეზობლებთან შეთანხმებით მოხდეს, ოსმალეთს კი პასუხისთვის განსაზღვრული ვადა დაუნიშნოთო.

სხვა თვალით შეხედეს საქმეს სომხის ხალხისა და პრესის წარმომადგენლებმა და აგრეთვე რუსმა მემარჯვენე ესერებმა, რომელთა მოქმედება კავკასიაში კადეტებისაგან მაინცა და მაინც არ განსხვავდება.

იმათ არა სურთ ეხლავე ზავის ჩამოგდება ოსმალეთთან და საკითხის გადაწყვეტას დამფუძნებელ კრებას ანდობენ. თუმანიანები, არზუმანიანცები, ჩემოდანოვები და სხვები რამიშვილის წინააღმდეგ ილაშქრებენ და საოლქო ცენტრიც ადგენს, ეუწყოს ოსმალეთს, რომ ამიერ-კავკასია ვერ შეუდგება საზავო მოლაპარაკებას, სანამ არ მიიღებს საამისო რწმუნებას სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებისაგან.

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასეთ გარდაწყვეტილებას?

ასეთი პასუხი მოპირდაპირეს უფლებას აძლევს დროებითი ზავი დაარღვიოს და ოსმალეთს შეუძლია ახლო მომავალში სამხედრო მოქმედება დაიწყოს.

რუსის ჯარი რუს ესერებთან ერთად კავკასიიდან გავიდა ან გადის და მხოლოდ აქაურ მკვიდრს დააწვება ომის განახლების მთელი საშინელება.

ვის გულისთვის აწარმოებენ ასეთ საზიზღარ პროვოკაციას?

რას ეწირება მსხვერპლად კავკასიის ეროთა ინტერესები?“

დასასრულ წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ დამფუძნებელი კრება უკვე გარეკილია, და მაშასადამე, მას ფაქტიურად აღარ შეუძლია გადასწყვიტოს კითხვა ოსმალეთთან ზავის ჩამოგდების შესახებ.

ამის გამო ავტორის აზრით სასწრაფოდ უნდა შეაჩერონ ოსმალეთისადმი უკვე გაგზავნილი პასუხი, ხელახლად უნდა განიხილონ ზავის საკითხი და დაუყონებლივ დაიწყონ საზავო მოლაპარაკება.

ზავის გარშემო.

რუსეთ-გერმანიის კონფერენცია.

რუსეთ-გერმანიის კონფერენცია გრძელდება. ბოლშევიკებმა მოითხოვეს, რომ თანახმად თვითგამორკვევის პრინციპისა გერმანელებმა უნდა განთავისუფლონ ყველა ელზასელები, ჩეხები, პოლონელები და ლიტველები, რომელნიც გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდნენ და შიანდომებენ ცენტრალ სახელმწიფოების ჯარში შესვლას. ამ მოთხოვნილებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია გერმანელების მხრით, რომელთაც განაცხადეს, ეს შინაური პოლიტიკის საქმეა და თქვენ არ შეგიძლიათ მასში ჩარევაო. ბოლოს დაჰპირდნენ, დავეკითხებით ჩვენს მთავრობას, გვაქვს ამაზე თათბირის უფლება თუ არაო.

ამერიკის საზავო პირობები.

(ვილსონის მიერ ვაშინგტონში 8 იანვარს (ახ. სტ.) წარმოთქმულ სიტყვიდან).

1. საზავო ხელშეკრულებანი უნდა ყველასათვის გამოცხადდეს. მათ შემდეგ არ უნდა მოხდეს არავითარი კერძო საერთაშორისო შეთანხმება. დიპლომატიამ დაუფარავად უნდა იმოქმედოს. მისი მოქმედება საზოგადო აზრს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

2. ყველას უნდა მიენიჭოს, ტერიტორიალურ წყლების გარდა, ყველა ზღვებზე თავისუფალ ცურვის უფლება. ამ უფლებით ვერ ისარგებლებენ მხოლოდ დაკეტილ ზღვებზე.

3. უნდა მოსპობილ იქმნას შეძლებისამებრ ყოველივე ეკონომიური დაბრკოლება და ზავის მსურველ ერთაშორის უნდა დამყარდეს ვაჭრობის პირობათა თანასწორობა.

4. უნდა შეიქმნას მტკიცე გარანტიები იმისა, რომ ხალხთა შეიარაღება შემცირდება იმ მინიმუმამდე, რაც შინაურ უშიშროებისთვის იქნება საჭირო.

5. ყველა საახალშენო სარჩლის სრული უპარტიო გადაწყვეტა. ასეთ სუვერენიტეტის საკითხების გადაწყვეტაში დაინტერესებულ მცხოვრებთა ინტერესებს უნდა იმდენადვე გაეწიოს ანგარიში, რამდენადაც მთავრობათა სამართლიან გამოსარჩლებას.

6. მთელ რუსეთის ტერიტორიის ევაკუაცია. რუსეთის შესახებ ყველა საკითხები ისე უნდა გადასწყდეს, რომ უზრუნველყოფილ იქმნას მისი რაც შეიძლება მალე, დამოუკიდებელ პოლიტიკური განვითარება და ეროვნული თვითგამორკვევა, რათა მან შესძლოს თავისუფალ ერთა კავშირში მოყოლა თავისავე მიერ შემუშავებულ კანონების ნიადაგზე.

7. როგორც მთელ ქვეყანას ჰსურს, ბელგეთი უნდა დაიცალოს და აღსდგეს ისე, რომ არ შეიზღუდოს მისი სუვერენიტეტი, რომლითაც ის სარგებლობს ყველა სხვა თავისუფალ ერებთან ერთად.

8. უნდა განთავისუფლდეს და აღდგენილ იქმნეს საფრანგეთის მთელი ტერიტორია. უნდა გამოსწორდეს ის უსამართლობა, რომელიც მიაყენა გერმანიამ საფრანგეთს 1871 წელს ელზას ლოთარინგიის წართმევით, რომ ზავი საერთო ინტერესებზე დამყარდეს.

9. იტალიის საზღვრების გამოსწორება უნდა მოხდეს მცხოვრებთა ადვილად გამოსაცნობ ნამდვილ საზღვრების მიხედვით.

10. ავსტრია-უნგრეთის ერს უნდა მიენიჭოს ავტონომიურ განვითარების საშუალება.

11. უნდა დაცლილ იქმნენ: რუმინეთი, სერბეთი და მთაშავეთი. უნდა აღდგენილ იქმნენ დაპყრობილი ოლქები. სერბეთი უნდა იქმნას, როგორც თავისუფალი მხარე - მას ზღვისკენ კარი უნდა მიენიჭოს. ბალკანეთის სახელმწიფოთა ურთიერთობა უნდა დაამყაროს მეგობრულ თათბირმა. უნდა განმტკიცდეს ბალკანეთის სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიურ ხელშეკრულობის საერთაშორისო გარანტიები.

12. უნდა უზრუნველ ყოფილ იქმნას ოტტომანთა იმპერიის ოსმალურ ნაწილების სრული სუვერენიტეტი. უნდა უზრუნველყოფილ იქმნას ოსმალთა მფლობელობის ქვეშ მყოფ ერთა ავტონომიური განვითარება. დარდანელი სამუდამოდ უნდა ღია იყოს გემთა თავისუფლად გასასვლელად და ყველა ერთა სავაჭრო საჭიროებათათვის.

13. უნდა განმტკიცდეს პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელშიაც შევლენ პოლონურ ელემენტებით დასახლებული ყველა ოლქები. მისი ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტერიტორიალური ხელშეუხლებლობა უნდა უზრუნველ ჰყონ საერთაშორისო შეთანხმებებმა.

14. ერთა საყოველთაო კავშირი უნდა განამტკიცოს იმ საგანგებო შეთანხმებამ, რომლის მიზანი იქნება დიდ და პატარა სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ტერიტორიალურ დამოუკიდებლობის საურთიერთო გარანტიების მიხწევა.

სეპარატიული ზავი ოსმალეთთან.

ოსმალეთის წინადადება.

როგორც ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, კავკასიის ფრონტზე მყოფ ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალმა წინადადება მისცა „კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობას“, რომ მთავრობის სატახტო ქალაქ თბილისში დაუშვან ოსმალეთის დელეგაცია საზავო მოლაპარაკების გასამართავად.

საოლქო ცენტრის პასუხი.

საოლქო ცენტრმა ოსმალეთის საზავო წინადადების საპასუხოდ *) შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა:

გვსურს რა ისეთი სამშვიდობო ზავის ჩამოგდება, რომელიც შესაწყნარებელი იქნება რუსეთის რესპუბლიკისათვის, საჭიროთ ვსთვლით გაცნობოთ, რომ ჩვენ, როგორც ნაწილი, რომელიც რუსეთის რესპუბლიკაში შედის, შევიძლიან დავიწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკება მხოლოდ სათანადო რწმუნების მიღების შემდეგ ახლად გახსნილ დამფუძნებელ კრებისაგან. ჩვენს დეპუტატებს, რომელნიც დამფუძნებელ კრებაზე მიდიან, ვავალებთ თქვენი წინადადება პირველად წარადგინონ განსახილველად და პასუხს დაუყოვნებლივ გაცნობებთ.

ამასთანავე საოლქო ცენტრი წინადადებას აძლევს ამიერ კავკასიის კომისარიატს მოლაპარაკება გამართოს რუსეთის ყველა მთავრობასთან, მათ შორის სახალხო კომისრებთან, ზავის შესახებ.

საოლქო ცენტრის სხდომა.

იანვრის 4 ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით შესდგა საოლქო ცენტრის სხდომა ოსმალეთის საზავო წინადადების განსახილველად. მოხსენებას აკეთებს გეგეჭკორი და აუწყებს სხდომას აგრეთვე მოკავშირეთა საზავო პირობებს, მოკავშირენი მოითხოვენ, რომ ყველა დაპყრობილი სახელმწიფოები აღდგენილ იქმნენ და საფრანგეთს ელზას ლოთარინგია დაუბრუნდეს. სმირნოვი ერთ დამსწრის შეკითხვაზე უპასუხებს, რომ დროებითი ზავზე მოლაპარაკების დროს ოსმალებს განუცხადეს, რომ კავკასიის ფრონტზე ზავის ჩამოგდება მაშინ მოხდება, თუ დასავლეთის ფრონტზე ჩამოვარდა ზავი. თუმანოვი აუწყებს სოციალისტ-რევოლუციონერების საოლქო კომიტეტის აზრს, რომ კავკასიას უფლება არა აქვს ცალკე შეეკრას ზავით ოსმალეთს, არც ოსმალთა დელეგაციის მიღება შეიძლება თბილისში, რადგანაც ამას ისე გაიგებენ, როგორც კავკასიის ჩამოშორებას.

ნ. რამიშვილი. (მენშ.) კავკასიის სეპარატიული გამოსვლა არავის უნდა, ხოლო ნიადაგი უნდა, მოვამზადოთ ზავისთვის. დამფუძნებელ კრებას მაინცა და მაინც ვერ დავეყრდნობით, რადგანაც დამფუძნებელ კრება შესაძლებელია ბოლშევიკებმა გარეკონ. ოსმალებს განსაზღვრულ დროისთვის პასუხს უნდა დავპირდეთ.

არზუმანოვი. (დაშნ.) ამბობს, ოსმალეთთან ცალკე ზავის შეკვრა კომისარიატის მხრივ მოკავშირეებისადმი ღალატი იქნება და როგორ შეიძლება ამიტომ სეპარატიულ ზავზე ლაპარაკიო. ბოლშევიკები გერმანეთს სთხოვენ ზავის ჩამოგდებას, ოსმალეთი კი ჩვენა გვთხოვს ამ გარემოებით ჩვენ მეტი უნდა ვისარგებლოთ და დამფუძნებელ კრებას მივანდოთ ზავის საკითხის გადაჭრა. ორატორს უკვირს თუ როგორ დასვა კომისარიატმა საკითხი სეპარატიულ ზავის შესახებ.

ნ. ჟორდანია. კვირობს, საიდან აიღეს, ვითომც კომისარიატი სეპარატიულ ზავის მომხრეა. მეზობლებთან თათბირის შემდეგ პასუხი უნდა გავცეთ ოსმალებს. ეს არის საკითხიო.

კ. ნინიძე იმ აზრისაა, რომ ომის გაგრძელება კავკასიას არ შეუძლია. მოკავშირეებს თუ მივემხრეთ ბოლომდის უნდა ვიომოთ; რისთვის - არ ვიციო. მოკავშირეები კი ჩვენ არა გვშველიან. ისინი თავის მიზნების მისაღწევად იბრძვიან და ჩვენზე კი არა ზრუნავენ.

შემდეგ გამოტანილ იქმნა რეზოლუცია (რეზოლუცია უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში).

ყაზახების დადგენილება.

კავკასიის ფრონტის ყაზახთა გამგეობამ, იანვრის სამს გამართულ თათბირზე ოსმალეთის მიერ მოცემულ საზავო წინადადების გამო, შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა:

ა) ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ზავის საქმე ეკუთვნის მხოლოდ დამფუძნებელ ყრილობას, კავკასიის ფრონტის ყაზახთა გამგეობა პროტესტს აცხადებს სეპარატიული ზავის ჩამოგდებაზე კავკასიის ასპარეზზე.

ბ) თუ დამფუძნებელი კრება არ შეიკრიბა და ვერც გადაწყვიტეს ზავის საქმე და თუ აუცილებელი მოხდა სეპარატიული ზავის ჩამოგდება, ყაზახთა გამგეობა აცხადებს, რომ მასში ყაზახებმაც უსაციოდ უნდა მონაწილეობა მიიღონ, რადგანაც მათ ბევრი სისხლი დაღვარეს კავკასიის ფრონტზე და არა ნაკლებ სხვაზე არიან დაინტერესებულნი მისი მდგომარეობით. ამ რეზოლუციას ატყობინებენ: ამიერ-კავკასიის კომისარიატს, ამიერ-კავკასიის ეროვნულ საბჭოს, კავკასიის ლაშქრის საოლქო ცენტრს, საფრონტო ყაზახთა გამგეობას და თერგის ყაზახობას.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

უწესოება ფოთში. ამიერ კავკასიის კომისარიატი ქუთაისის გუბერნიის კომისარს გრ. გიორგაძეს ატყობინებს, რომ ქ. ფოთში მცხოვრებლები და ჯარის კაცები თავს დაესხმიან კავკასიის საოლქო სასურსათო კომიტეტის საქონელს და გაუტაცნიათო. შინაგან საქმეთა მინისტრი სთხოვს კომისარს, რომ ზომები იქნას მიღებული რათა ფოთში წესიერება იქნეს აღდგენილი.

◆ **ეროვნ. დემოკრატ მოწაფეთა კრება.** ხუთშაბათს, 11 იანვარს, საღამოს 5 საათზე წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატული პარტიის მოწაფეთა საერთო კრება. გასარჩევია ფრიად საჭირო საკითხები.

◆ **ქართველ ისრაელთა შორის.** 7. 8 და 9 იანვარს ქუთაისში მოხდა არჩევნები სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობაზე. არჩევნებში ორი სია იყო წამოყენებული № 6 სიონისტებისა და № 9 ქართველ ისრაელთა სარწმუნოებრივი ორგანიზაციისა „აგუდათ ისრაელისა“ არჩევნების შედეგიდან გამოირკვა, რომ სავსებით გაიმარჯვა მე-9 ნომერმა, რომელმაც მიიღო 1613 ხმა, ხოლო სიონისტებმა მიიღეს 172 ხმა. სიონისტების ხმები უმთავრესად რუს ებრაელებმა მისცეს.

◆ **სახალხო მასწავლებლების ჯამაგირების შესახებ.** სახალხო მასწავლებლებს ჯამაგირები 1 ოქტომბრიდან მოემატათ. ამ ჟამად. დანიშნული აქვთ 210 მანეთი. მომატებული ხარჯების დასაფარავად 1918 წლის დამლევამდეს ქუთაისის გუბერნიისათვის საჭირო არის 7636,747 მანეთი და 10 შაური.

◆ **სამეურნეო თათბირი.** 12 იანვრს დღის 12 საათზე ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს დარბაზში მოხდება ქუთაისის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო თათბირი, რომელზედაც დაესწრებიან სოფლის მეურნეები, აგრონომები, ინსტრუქტორები და ქუთაისის გუბერნიის ყველა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

◆ **ქურდობა.** იანვრის 9, ღამით პუშკინის ქუჩაზე. ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს სასტუმრო „ევროპა“ საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ნივთები სულ 585 მანეთად ღირებული.

◆ **ქართული გიმნაზიის** პედაგოგიური საბჭო მადლობას უცხადებს ს. მიქელაძისას, რომელმაც ქართული გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ შესწირა 10 თუმანი.

◆ **დარაჯთა შორის.** 7 იანვარს დარაჯთა საერთო კრებამ დაადგინა, რომ ყოველი დარაჯი მოვალეა წევრად ჩაეწეროს დარაჯთა პროფესიონალურ კავშირში და შეიტანოს საწევრო გადასახადი იანვრის დამლევამდის, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი თხოვნა და საჩივრები გარჩეული არ იქმნება, შემდეგ კავშირშიდაც ვეღარ ჩაეწერებიან.

◆ **მასწავლებელთა მდგომარეობა.** სახალხო მასწავლებელთა კავშირის რაჭის მაზრის ფილიალი განყოფილების თავმჯდომარე დეპეშით სთხოვს ქუთაისის გუბერნიის მეორე რაიონის მეთვალყურეს, შეატყობინოს რა მდგომარეობაში იმყოფება მასწავლებელთა მატერიალური პირობების გაუმჯობესობის კითხვა და აძლევენ თუ არა. მათ ერთდროულ დახმარებას.

◆ **დაპატიმრება.** იანვრის 9, ღამის 3 საათზე ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ა. ჯინჭარაძემ სასტუმრო „კოლხიდაში“ დააპატიმრა ორი ქალი ტ. ისტომინა და მ. [illegible], რომელნიც ვიღაც პრაპორშჩიკებს ძალით წამოუყვანიათ თბილისიდან. ქალების დაპატიმრების შესახებ განკარგულება თბილისიდან მიიღეს.

◆ [illegible] 9 იანვარს ღამით ძველი თბილისის ქუჩაზე კალანდაძის სახლიდან [illegible] 3,400 მანეთის [illegible] ნივთიები.

◆ **ჯიბგირის დაპატიმრება.** ამავე დღეს თბილისის ქუჩაზე დაპატიმრებულ იქმნა პროფესიონალური ჯიბგირი ერ. მდივანი, რომელმაც ბაღდათის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარეს ფურცელაძეს ჯიბიდან ფული ამოაცალა. იგი სატუსაღოში იქმნა გაგზავნილი.

◆ **ქუჩის თავდაცვის ორგანიზაციის მოწყობა**—მოხდა ივანოვის ქუჩის მცხოვრებთა კრება, რომელზედაც გაირჩა კითხვა აღნიშნულ ქუჩის ცარცვა-ქურდობისაგან უზრუნველყოფის შესახებ. ორგანიზაციის გეგმის შესამუშავებლად კრებამ აირჩია საგანგებო კომისია.

◆ **სიმინდის რეკვიზიციის შესახებ.** დეკემბრის ბოლო რიცხვებში ქ. ახალსენაკში მოხდა სენაკის მაზრის გლეხთა საბჭოების, აღმასრულებელ კომიტეტთა, სასურსათო კომიტეტების და პარტიული ორგანიზაციების საერთო ყრილობა, რომელზედაც გამოიმუშავეს სიმინდის რეკვიზიციის წესი. მათი დადგენილებით მთელი სიმინდი, რომელიც აღემატება ოჯახთა საჭიროების ნორმას დაუყონებლივ გადადის ადგილობრივ სათანადო საზოგადოებრივი ორგანოების ხელში საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების მიერ დაწესებულ ფასებში, ის საზოგადოებები, რომელნიც ამ დადგენილებას არ დაემორჩილება კარგავს ყოველივე უფლებას—მიიღოს სამაზრო, საგუბერნიო და სახელმწიფო ორგანიზაციებიდან რაიმე დახმარება. ისინი ვეღარ მიიღებენ ფართალს, ტყავეულობას, ნავთს, საპონს, შაქარს და სხვას. სასტიკათ დაისჯებიან ვინც სიმინდისაგან არაყს გამოხდის.

◆ **პურის ქურდი.** 10 იანვარს დილის 8 საათზე დაპატიმრებულ იქმნა ს. ვარდოსანიძე, რომელიც სისტემატიურად იპარავდა კოოპერატივებიდან პურს და ჰყიდდა.

◆ **პირველი ქართული მსროლელი დივიზიის უფროსმა** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს სთხოვა, რომ ნება მიეცა, რომ ქუთაისის გუბერნიაში თავისუფლად დაემზადებინა ცხენების საკვები. სასურსათო კომიტეტმა ამის შესახებ დაადგინა, რომ გუბერნიაში შიმშილობის გამო არ მიეცეს მას სიმინდის ყიდვის ნება, რაც შეეხება თივისა და ბზის დამზადებას ამის უფლება მიეცეს.

◆ **მომრიგებელ კომერაში.** 9 იანვარს მომრიგებელმა კომერამ გაარჩია თ. მთავრიშვილისა და მისი ნოქრის ჩიგოგიძის საქმე. კომერამ დაადგინა რომ მთავრიშვილმა ნოქარს 6 თვის ჯამაგირი მიეცეს.

◆ **სრულიად კავკასიის საოლქო სასურსათო კომიტეტმა.** ყველა სასურსათო კომიტეტებს გაუგზავნა მოწერილობა, სადაც ნათქვამია, რომ საერთო გეგმა ჯარისა და ხალხის სურსათით დაკმაყოფილება დღითი დღე ირღვევა, რადგანაც კერძო პირები სურსათ ნიხრის მიუხედავად ყიდულობენ. პურის მონოპოლიის გამო ამიერ კავკასიიდან კერძო პირებს პურის გაზიდვა ეკრძალებათ. მიუხედავად ამისა სხვადასხვა ორგანიზაციები, მათ შორის სასურსათო კომიტეტებიც, კერძო პირებს მოწმობებს აძლევენ, რომ მათ პურის ყიდვის უფლება ექნესთ. ამით ნიხრი ირღვევა, რაც უსათუოთ დიდ შიმშილს გამოიწვევს. ასეთი ბოროტება რომ მოისპოს, საოლქო კომიტეტმა ზომები მიიღო, რათა კონტროლი იქმნეს გაწეული. აღმოჩენილ პურს რეკვიზიციას უყოფენ. ცენტრალური კომიტეტი კონტროლის გასაწევად გზავნის რაზმს 400 ჯარის კაცისაგან შედგენილს, შემდეგისათვის ასეთი მოწმობები არავინ არ უნდა მიეცეს. ვისაც გზაზე პურს აღმოუჩენენ ჩამოართმევენ და თვითონ პასუხის გებაში მისცემენ. თუ ვისმეს მოწმობები აღმოაჩნდა, ამ მოწმობების მიმცემი ორგანიზაციებიც პასუხის გებაში იქმნებიან მიცემული.

თბილისი.

ბოლშევიკების გამოლაშქრება თბილისზე ხმები დადის, რომ ფრონტის არტილერისტების რაზმი მოჰყავთ ბოლშევიკებს თბილისზე სარაყამიშის მიმართ-

---

*) აქვე მოგვყავს ანგარიში საოლქო ცენტრის სხდომისა, სადაც გარჩეულ იქმნა ოსმალეთის საზავო წინადადება.

თულებით. რათა კომისარიატი გადააყენონ და ძალა-უფლება ხელში ჩაიგდონ.

— **დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგი.** № 1 მიეღოა 569,362 ხმა; № 2—24,551; № 3—105,265; № 4—410,778; № 5 26,933; № 6—19,039; № 7—12,509; № 8—22,196; № 9—514; № 10—394,062; № 11—22,717; № 12 130,088; № 13—70; № 14—66,094 და № 15—6,973.

— **ფულის კრიზისი.** ვინაიდან სახელმწიფო ბანკი ჩეკებით ფულებს აღარავის აძლევს, რადგან ფული არა აქვს ამის გამო სხვა ბანკებიც იძულებული გახდენ ჩეკებით ფულის მიცემა შეაჩერონ. მხოლოდ სათავადო სამეურნეო ბანკი განაგრძობს ფულის ძლევას წინანდურად, რადგან ამ ბანკს ბლომად ჰქონია შემონახული ფული.

ქალაქის საბჭო.

9 იანვარი.

ქალაქის საბჭოს სხდომა უნდა გახსნილიყო საღამოს 7 საათზე, მაგრამ ამ დროს მხოლოდ რამდენიმე ხმოსანი არის გამოცხადებული.

ხმოსნებს ელოდებიან.

8 საათზე საბჭოს თავმჯდომარე ალ. ჯაფარიძე თავის ადგილს იჭერს და სხდომას გახსნილათ აცხადებს.

გასარჩევია შემდეგი კითხვები:

1) ქალაქის თავის მოხსენება კავკასიის ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა მეექვსე ყრილობის შესახებ.

2) კონტროლის ორგანიზაცია ქალაქის გამგეობაში,

3) კითხვა სატრაქტირო გადასახადების შესახებ.

4) ქუთაისის ქალთა უფასო სასწავლებლის ყოფილ გამგეს რუბანის ქალისათვის დახმარების მიცემის შესახებ,

5) მერიის ბირჟის ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცება,

6) ქალაქის 2 წარმომადგენლის არჩევა 10 იანვარს მოსკოვის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობაზე გასაგზავნათ, სადაც გასარჩევია შემდეგი კითხვები: დამფუძნებელი კრების დაცვა და სხვადასხვა მუნიციპალური კითხვები.

7) ცეცხლის მქრობელთა რაზმის შტატის გადიდება.

8) გამგეობის დადგენილება, რომ წყავროკის სახოგადოების წარმომადგენელს ახმეტ ეფენდი ქათამაძეს მიეცეს ასი მანეთი აღნიშნულ ქართველ მამადიანთა საზოგადოებაში სკოლის დაარსებისთვის.

თავმჯდომარე: გსურთ თუ არა დღის წესრიგი უცვლელათ დარჩეს?

წინადადება შემოდის, რომ დღესვე იქმნას დასმული კითხვა მილიციის შესახებ.

გრ. ურატაძე. დღეს ამ კითხვას ვერ განვიხილავთ, რადგანაც ნაკაზის ძალით საბჭომ წინდაწინ უნდა იცოდეს ამა თუ იმ კრებაზე, რა კითხვები იქნება დასმული.

მ. ბერძული. მილიცია არა გვყავს. მილიციის უფროსი მეტად ცუდ პირობებში იმყოფება. პოლიტიკური პარტიების მიერ წამოყენებულ კანდიდატებიდან ჯერ სამი მეოთხედი არ გამოცხადებულა. მილიციის უფროსს უფლება უნდა ექნეს, რომ მან თვითონ გამონახოს სამილიციონერო პირები. მდგომარეობა გვაიძულებს, რომ ეს კითხვა ამ კრებაზევე გავარჩიოთ.

თავმჯდომარე: მართალია, ეს საქმე საჩქაროა, მაგრამ ჩვენ ამით ნაკაზს დავარღვევთ და მნიშვნელობას დავუკარგავთ. ამ განცხადებას ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ და შემდეგ კრებაზე დავსვამთ.

ამ კითხვას კენჭს უყრიან. კენჭის ყრით გადაწყდა, რომ ეს კითხვა შემდეგ კრებაზე გაირჩეს.

ქალაქის თავის მოხსენება კავკასიის ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა მე-VI ყრილობის შესახებ. ქალაქის თავი დ. კალანდარაშვილი: მოხსენება კავკასიის ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა ყრილობის შესახებ მე დამიგვიანდა. ეს მოხსენება გასულ კრებაზე უნდა გამეკეთებინა, მაგრამ არ მოხერხდა. ეხლა კი ნებას ვაძლევ ჩემს თავს, მოკლედ მოგახსენოთ!

30 ნოემბერს თბილისში უნდა მომხდარიყო კავკასიის ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა მეექვსე ყრილობა, მაგრამ ამ დღეს ეს ყრილობა ვერ შესდგა, რადგანაც თბილისში გამოვიდნენ ბოლშევიკები და ნორმალური ცხოვრება დაირღვეეს. ყრილობა გაიხსნა 1 დეკემბერს, რომელიც 8 დეკემბრამდის გასტანა. როგორც ვიცით, ეს ყრილობა უნდა მომხდარიყო ჯერ კიდევ სექტემბერში, მაგრამ მაშინ არ შესდგა, რადგანაც მაშინდელ ყრილობას მხოლოდ 17 ქალაქის წარმომადგენელი დაესწრო.

1 დეკემბრის ყრილობაზე სულ 77 წარმომადგენელი ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქების წარმომადგენლები, რადგანაც ამ დროს მათაც ჰქონდათ დანიშნული ჩრდილოეთ კავკასიაში ყრილობა.

პირველი ნაწილი ამ ყრილობისა მოვანდომეთ ძველი კავშირის ანგარიშებს, რომელიც ახალმა შემადგენლობამ დაიკავა. როგორც ვიცით, ქალაქთა კავშირებს სხვადასხვა ადგილებში დარსებული ჰქონდათ საავათმყოფოები და სხვა დაწესებულებები, ყველა ეს ქონება გადავიდა ქალაქების ხელში.

ახალი კავშირი უკვე დაარსდა. კავკასიის ქალაქთა კავშირი თავის თავათ შევა სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირში. კავკასიის ქალაქთა კავშირს უნდა ვანაგებდეს თბილისის ქალაქის თვითმმართველობა. ამ კავშირში ყველა ქალაქები შევლენ. დღემდის კი ასე არ იყო. კავშირში შედიოდენ მხოლოდ ის ქალაქები, სადაც საავადმყოფოები იყო დაარსებული.

როდესაც ჩვენ კომიტეტი ავირჩიეთ, კავშირი ვუწოდეთ „ამიერ კავკასიის ქალაქთა კავშირი“, რაშგანაც ჩრდილოეთ კავკასიიდან წარმომადგენლები არ გამოცხადებულან.

მიზანი ამ კავშირისა გარდა სამხედროისა არის მუნიციპალური მოღვაწეობაც. ეს კავშირი უნდა იქნეს ხელმძღვანელი ყველა ქალაქებისა. უნდა მოხდეს ლაზარეთების ლიკვიდაცია და მთელი ქონება ქალაქების ხელში უნდა გადავიდეს. აგრეთვე კავშირმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ჯარის მობილიზაციისა და დემობილიზაციის საქმეშიც.

ორგანო ამ კავშირისა არის კომიტეტი, რომელშიც არჩეული არის 32 წევრი. ჩრდილოეთ კავკასიას აქედან 7 ადგილი დაუტოვეთ იმ შემთხვევისათვის ისინი მონაწილეობის სურვილს თუ განაცხადებენ. კომიტეტს ჰყავს აღმასრულებელი ბიურო, სადაც არჩეული არის 13 კაცი.

ერობის შემოღების შემდეგ ერობის მმართველობას და ქალაქთა კავშირს ერთმანეთში დამოკიდებულება ექნებათ.

ქალაქთა კავშირს **ხარჯებიც** ექნება, რომლის დასაფარავათ ყველა ქალაქმა თავის ბიუჯეტებიდან უნდა გადადვას ერთი მეოთხედი პროცენტი.

ყრილობამ სხვა საკითხებიც განიხილა. მუნიციპალური ბანკის დაარსების შესახებ მოხსენება წაიკითხა კანდელაკმა. როგორც გამოირკვა, მთელ ამიერ კავკასიაში ასეთი ბანკი მხოლოთ ქ. გუმრში ყოფილა, მაგრამ რიგიანათ ვერც ამ ბანკში არის დაყენებული საქმე.

ასეთი ბანკები ქალაქებს სესხს მისცემენ და ამისთვის აუცილებელია, რომ ქალაქში მუნიციპალური ბანკები დაარსდეს. გამოითქვა აგრეთვე აზრი, რომ იპოტეკურმა ბანკებმა ქალაქებს სესხი მამულების დაუგირავებლათ მისცენ.

როდესაც ფინანსიურ კითხვას ვარჩევდით ყრილობის დარბაზში შემოვიდენ ლაზარეთების მუშები და განაცხადეს, რომ მათთვის ჯამაგირები მიგვეცა. მათთვის მისაცემი თანხა უდრის 5 მილიონ მანეთს; გავიკითხეთ ხაზინებში, მაგრამ ამდენი ფული არ აღმოჩნდა. კომისარიატთან მოლაპარაკების შემდეგ იმ აზრს დავადექით, რომ ბონები გამოცემულიყო.“

გაირჩა აგრეთვე კითხვა ქალაქის მიწების შესახებ. ქალაქის მიწებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის გაფართოვებისა და გამშვენიერებისათვის. ამისთვის ყრილობამ დაადგინა, რომ ქალაქებმა არამც და არამც მიწები არ გაჰყიდოს და თუ შეიძლება პირიქით იყიდოს მხოლოდ თავისუფალი მიწები იჯარით მიეცემათ ულარიბეს მცხოვრებთ.

უნდა გაგვერჩია კითხვა ულელტეხილის რკინის გზის შესახებ, მაგრამ დროს უქონლობის გამო ეს განსაკუთრებულ კომისიას გადავეცით.

სასურსათო საქმის შესახებ კამათი გრძელი იყო. გამოითქვა აზრი, რომ სურსათის მოგვარების კითხვა თვით ქალაქებმა უნდა იდვან თავს. დიდი ქალაქები, როგორც თბილისი და ბაქოა გამოყოფილი იქმნებიან ცალკე და აღიჭურვებიან იმ უფლებით, როგორც საგუბერნიო სასურსათო კომიტეტები. დანარჩენ ქალაქებს დამოკიდებულება ექნებათ საგუბერნიო კომიტეტებთან.

დასასრულ ავირჩიეთ კომიტეტი და აღმასრულებელი ბიურო, რის შემდეგაც კომისარიატში მივიწვიეს სასურსათო კითხვების შესახებ. სურსათის საქმე მაშინაც გამწვავებულიყო. ვითათბირეთ კომისარიატში მაგრამ ვერავითარი საშუალება ვერ გამოვნახეთ გარდა იმისა, რომ ბაქოსა და კავკავის რკინის გზები ელოდებინ.

საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი სიმდიდრე არის დატოვებული როგორც ფრონტზე, ისე ქალაქებში და ეს სიმდიდრე გადადის ქალაქთა კავშირის ხელში სადაც ჩვენც წილი გვექნება თუ ამ კავშირში შევალთ. დღევანდელმა ჩვენმა საბჭოს კრებამ უნდა გამოიტანოს დადგენილება, რომ ამ კავშირში ქუთაისიც შედის.

თავმჯდომარე ამ კითხვას კენჭს უყრის. საბჭომ ერთხმათ დაადგინა, რომ კავკასიის ქალაქთა კავშირში შევიდეს.

(დასასრული იქნება)

ანარქია კავკასიაში.

აჭარლები და ახალციხის ამბები. ახალციხელ თათრებს აჭარლებისთვის შეუტყობინებიათ, რომ მათ თავს ესხმიან სომხები და უკვე აიოხრეს მაჰმადიანთა 4 სოფელი. ართვინელებს, ზემო და ქვემო აჭარლებს დაუდგენიათ დაეხმარონ ახალციხელ მაჰმადიანებს. აჭარლების ერთი ნაწილი უკვე გადასულა ახალციხისაკენ. აჭარლებს ბათომში დელეგაცია გაუგზავნიათ, რომელთაც მოუთხოვიათ ახალციხის ამბების გამოსაკვლევად და მშვიდობიანობის დასამყარებლად საგანგებო დელეგაცია გაეგზავნოს ახალციხეში. აჭარლებს განუცხადებია, თუ დელეგაციამ ვერა გააწყო რა, მაშინ იარაღით ხელში დავიცავთ ახალციხელებსაო.

— **საგანგებო დელეგაციის გაგზავნა.** ამ დღეებში ამიერ კავკასიის კომისარიატი განჯაში მდგომარეობის გამოსაძიებლად ჰგზავნის საგანგებო დელეგაციას, რომელშიაც შევლენ ეროვნებათა წარმომადგენლები. საქართველოს ეროვნული საბჭო თავის მხრით ჰგზავნის შალვა ამირეჯიბს. იგივე დელეგაცია განჯიდან ახალციხეში გაემგზავრება იქაურ მდგომარეობის გამოსარკვევად.

— **ახალციხე და აჭარა.** 3 იანვარს ს. უდეს მოადგა რვაასი აჭარელი ჯამალ ბეგ ხიმშიაშვილის მეთაურობით, რათა ახალციხის მაზრის მუსულმანთათვის დახმარება გაეწიათ. ჩვენ წავედით მათთან მოსალაპარაკებლად. გამოკითხვით გამოირკვა, რომ თურმე ისინი არა ერთხელ გამოუწვევიათ დასახმარებლად ახალციხის მოძრაობის მოთავეებს, როგორც წერილობით, ისე გაგზავნილ კაცების მეშვეობით აწვდიდენ ყალბ ცნობებს— მუსულმანებს ხოცავენ და ამათ წინააღმდეგ შეერთდენ ქართველები და სომხები, ახალციხის არსენალი სომხებმა ჩაიგდეს ხელში და სხვა. აღ. ენში შევხვდით აჭარელ ბეგებს გარდა ახალციხელებისა რომლებიც ამ მასსას ხელმძღვანელობდენ. ისინი სხვადასხვა ვითომდა კეთილი განზრახვით ხელს გვიშლიდენ კავშირი დაგვეჭირა აღნიშნულ მასსასთან, რომელიც ჩვენი შთაბეჭდილებით არ არის მაინცა და მაინც ბრძოლის გუნებაზე. გარემოების გაცნობის შემდეგ წამოყენებულ იქმნა ისეთივე მოთხოვნები, როგორც ახალციხის ალყის დროს, ე. ი. ითხოვდენ შეერთებულ რაზმების შედგენას და მუსულმანებისთვის იარაღის დარიგებას.

— **ძარცვა გლეჯა ბათომის ოლქში.** ბათომიდან სომხურ ეროვნულ საბჭოს დეპეშით აცყობინებენ, მთელ ბათომის ოლქში და განსაკუთრებით ბათომის ახლო-მახლო ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა მეტის-მეტად გაძლიერდაო.

— **ყაზახების და ინგუშების ბრძოლა კავკავში.** ყაზახებსა და ინგუშებს შორის დიდი ბრძოლაა გამართული კავკავში. მსხვერპლი დიდია. ქალაქიდან მცხოვრებლები გარბიან. თბილისში რამდენიმე ავტომობილით ჩამოვიდნენ კავკაველები. მათი სიტყვით კავკავში მდგომარეობა ერთობ საშიშია. უწესრიგობა ჩრდილო კავკასიის სხვა ნაწილებშიც დაწყებულა ისევ. კავკავიდან ჯარს თხოულობენ.

— **მთიელთა ომი რუსებთან.** ციხე ვედენოში, რომელიც კავკასიონის ჩრდილოეთის კალთაზეა აშენებული ბოლო ხნობამდე იმყოფებოდა 300 ჯარის კაცი, 19 ზარბაზნით, 16 ტყვიისმფრქვევლით და ყუმბარებით. გიორგობისთვის 30 ჩაჩნებმა მეციხოვნე ჯარს იარაღის დაყრა მოსთხოვეს. ჯარმა მტკიცე უარი შემოუთვალა. მაშინ ჩაჩნებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს, წყალი გადაუგდეს განზე და არავითარ სურსათს არ უშვებენ ქალაქში. მეციხოვნეებს გადაუწყვეტიათ ყველაფერი აიფეთქონ, ტყვის მფრქვეველების საშუალებით ალყა გაარღვიონ და გროზნისკენ გაიჭრნენო.

სასიხარულო გარდაწყვეტილება.

სახალხო მასწავლებლები ძველი ბიუროკრატიული რეჟიმის დროს, როგორც ქონებრივად, ისე უფლებრივადაც დაჩაგრული იყვნენ. მათ შავმუშას ეძახოდენ. დიდებულმა რუსეთის რევოლუციამ ეს „შავი მუშა“ ხალხი დღეს, თანასწორ უფლებიან მოქალაქეებათ იცნო და ქონების მხრით მათი მდგომარეობა ბევრად გააუმჯობესა. საქართველოს მესვეურებმა სახალხო მასწავლებლების საქმეს უფრო ღრმად შეხედეს, მათ არ იკმარეს მარტო ქონებრივ მხარეზე ზრუნვა და სახალხო მასწავლებლებს, რომელთაც საოსტატო სემინარია აქვსთ გათავებული, იურიდიული უფლებაც მიანიჭეს. ამიერიდან, ამ ჩვენი ქვეყნის ერთგულსა და სალ ნიადაგზე მდგომ მუშაკებს, ნება ეძლევათ ქართულ უნივერსიტეტში შევიდნენ ისე, როგორც სხვა საშუალო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულები. პირველი შეხედვით ასეთი გონიერი ნაბიჯი ჩვენი ქართველი მეცნიერებისა, არა დამკვირე პირს დიდათ არაფრად მოეჩვენება, მაგრამ ვისაც უკემებია და განუცდია მედიდურობა და ხშირად ირონიული დაცინვა სხვადასხვა მთავრობის პირთა ის დამეთანხმება, რომ ქართული უნივერსიტეტის კარების გაღება სამასწავლებლო სემინარიაში კურს დამთავრებულთათვის ერთად ერთი მალამოა იმ იარის მოსაშუშებლად, რომელიც მოუშუშებელი საფლავამდე მიჰყვებოდა ბედკრულ სახალხო მასწავლებელს. სწავლა სიბერემდეო, ნათქვამია, მაშ გავეშუროთ, საყვარელო ამხანაგებო, დავეწაფოთ ქართულ კულტურას ჩვენ დედა ქალაქ თბილისში და ვიგემოთ პირველი ხილი რევოლუციისა.

მ. ბუაჩიძე.

ჩვენი ქალაქის მამების საყურადღებოთ.

„თუ სახელის შოვნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობა სთქვას:
ნანერგითა შენით მარგე.“

ი. ჭავჭავაძე.

უკუღმართი ძველი რეჟიმის წყალობით ჩვენს კეკლუცს „სავარდო და სამაისო“ ქუთაისს, ამ 40—50 წლის განმავლობაში თითქმის არაფერი ისეთი თვალ საჩინო და ნაყოფიერი ნერგი არ ღირსებია, რითაც ვამაყობდეთ და მადლობით ვიხსენიებდეთ ძველ მოღვაწეებს. დღეს ჩვენ არც რკინის გზის მაგისტრალი გვაქვს, არც რიგიანი და სწორი ქუჩები, არც წყალსადენი, არც კანალიზაცია, არც ტრამვაი და ელექტრონის სინათლე (გარდა ლადიძის ელექტრონის ენერგიისა), არც ხელოვნების ტაძარი—თეატრი, სახაზინო სახლი, რიგიანი მოწყობილი სამკურნალო და სხვადასხვა, რამაც ერთი წამით მაინც, რომ მოგვახედოს უკან და მადლობით გვათქმევინოს: სახელი და დიდება შენს დამრგველ ამშენებელს, რომ „ნანერგითა შენით მარგეო“. დიახ, არც ერთი ესენი ჩვენ არა გვაქვს, მიუხედავათ იმისა, რომ არც ერთ კავკასიის ქალაქებში იმდენი ინტელიგენტრუი და განათლებული ძალა არ მოიპოვება, რამდენიც ჩვენს პატარა ქუთაისშია, რომელიც პატარა პარიზათ არის წოდებული და ბუნების სიმშვენიერით და სიმდიდრით ხომ მას ბადალი არ ჰყავს ჩვენში. მაგრამ რაც აქამდი იყო ის, ნუ იქნება აწი; რაც ვიყავით, ის ნუ ვიქნებით აწი და ერთი საშვილიშვილოდ სახსენებელი და მოსაგონარი საქმე ჩვენ მაინც გავაკეთოთ. ეს საშვილიშვილო საქმეა სათეატრო ადგილის შეძენა შავგულ ქალაქში და ზედ თეატრის აშენება. ამ საგანზე ამ ერთი თვის წინეთ დიდათ პატივცემულმა ის. კვიცარიძემ მეტათ საყურადღებო წერილი მოათავსა გაზ. „ალიონში“ და მიუთითა ჩვენს საზოგადოებას სიმპატიურ თევდორაძის [illegible] გამოკვეთებულ მამულზე (ალექსანდრეს ქუჩა) და მშვენიერი პროექტიც წამოაყენა მის შესაძენათ ამ ადგილზე და მის გვერდით მდებარე ადგილზე თეატრის და სხვა რამების მოსათავსებლათ, ეს მამული მართლაც რომ თვალია ქუთაისისა, სადაც ამართული იქნება ხელოვნების ტაძარი თეატრი, სამკითხველო, სახალხო სახლი, დრამატიული საზოგადოების შენობა და დიდი საკრებულო დარბაზი რუსეთის დიდი რევოლუციის და მიჯაჭული ამირანის განთავისუფლების მარად სახსოვრად. დაბეჯითებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამაზე უკეთეს მოხერხებულ ადგილს ჩვენი ქალაქის მამები ვერსად ვერაფერი ფულით ვერ იშოვნიან და ამიტომ ეხლავე საჭიროა საქმის დაწყება და მოლაპარაკების გამართვა ბატონ ს. თევდორაძესთან, რომელიც დიდი თანამგრძნობია საზოგადო საქმეებისა, ამ მიზნით გამსჭვალული ის, როგორც კი ქართველი თავის სახლს უკვდავ-საყოფათ, იმედია, მეტად ხელსაყრელ ფასებში დაუთმობს ამ თავის მამულს მშობელ ქალაქს ზემოხსენებული დიადი ძეგლის ასაშენებლათ. ბატონი ჩხიკვაშვილი და თუმანიშვილიც იმედია წაბაძავენ ბ. ს. თევდორაძის კეთილ მოქმედებას და ისინიც თავიანთ მამულს, თუ სულ უფასოთ არა, შეღავათიან ფასებში მაინც დაუთმობენ ქალაქს, რისთვისაც უზომო სიყვარულს და სამარადისო კეთილ ხსენებას დამსახურებენ მთელი ქუთაისის მცხოვრებთაგან, ხოლო მომავალი თაობის გულში კი უკვდავ ძეგლს დადგამენ სამთავე მემამულენი.——

ვასილ მასხულია.

ბალახვნის ქუჩის თავდაცვის კომიტეტის კრება.

იანვრის 9, საღამოს 6 საათზედ, შოთა რუსთველის სახელობის სამკითხველოში მოხდა ბალახვნის ქუჩის თავდაცვის კომიტეტის კრება, ხალხი საკმაოთ დაესწრო. კრებას დაესწრო კომიტეტის მწევრნი: ბ. ბ. კორნელი ჯუღელი და ნიკოლოზ მესხი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა მღ. ვლადიმერ მაჭარაშვილი, ხოლო მდივნათ კი, სევერიან მხეიძე. კრების მიერ ერთხმათ მიღებულ იქმნა თავდაცვის მოწყობის საჭიროება, რადგან ყოველ ღამე ქურდ-ბაცაცები სტეხენ სახლებს და ოჯახებს სძარცვავენ.

სავალდებულოთ იქმნა აღიარებული, რომ ვისაც კი იარაღის ხმარება შეუძლია, ყველამ, საღამოს 8 საათიდან დილის 7 საათამდის, იდარაჯოს, ერთმანეთის გამონაცვლებით. ვისაც დარაჯობა არ შეუძლია, ან მამაკაცის არ ყოლის გამო (ბევრი ოჯახების მამაკაცები სხვაგან არიან სავაჭროთ წასული) ან და მოხუცებულების გამო, იმათ ხვედრ დარაჯობაზედ გადახდებათ ხუთ-ხუთი მანეთი. ღარიბი ოჯახები სრულიად თავისუფლდებიან, როგორც დარაჯობიდგან, ისე გადასახადისაგან.

ვინც ამ დადგენილებას არ დაემორჩილება, იმას მცხოვრებთა მიერ უკმაყოფილება უნდა გამოეცხადოსთ.

ამავე კრებაზე აღძრა საკითხი, რომ განდევნილ იქმნან ამ ქუჩიდგან სრულიად მავნე პირები, რომლებიც შემჩნეული არიან ქურდობა— ავხელობაშიო, მაგრამ ამ საქმის საბოლოოთ დადასტურება კრებამ შემდეგისათვის გადასდო.

თავდაცვის კომიტეტის ზედამხედველობა კრებამ ერთხმათ მიანდო: ბ. ბ. კ. ჯუღელს, თ. ძნელაძეს და გერმანე სულაბერიძეს, რომლებიც ჩაიბარებენ იარაღებს და მორიგეობით გადახედვენ იმათ, რომელთაც რიგში დარაჯობა შეხვდებათ.

კრებამ ერთხმათ დაავალა თავდაცვის კომიტეტებს, რომ არავითარი შებრალება არ იქონიონ იმათ მიმართ, რომელთაც ქურდობა-ავაზაკობაში მოასწრებენ, რომელ პროფესიის და ხელობის დარგსაც უნდა ეკუთვნოდენ იგინი. დასასრულ მოსალოდნელ მობილიზაციის შესახებ მღ. ვლ. მაჭარაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა.

დამსწრე.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში